ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7115542

ნომერი: AR11043080

თარიღი : 19.06.2024

გაცემის თარიღი : 05.07.2024

გაცნობის თარიღი : 05.07.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა N 22, კორპუსი 1, კორპუსი 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი გოგრიჭიანი პ/ნ 60003000511
- ქ.თბილისი. თ.ერისთავის #3/90

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 19 ივნისის №AR11043080 განმეორებითი განცხადება რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2023 წლის 06 მარტის №6352650 ბრძანებაში ცვლილებას.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №7093695 ბრძანებითა და

სამსახურის 2024 წლის 01 ივლისის №7108403 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ არ არის წარმოდგენილი განახლებული გეგმები, დაზუსტებული ფართობების მითითებით. ავტოსადგომის ფართობში კვლავ ნაწილობრივ ჩათვლილია კოლონების ფართობები. ამასთან, 0.00 ნიშნულის გეგმაზე არ არის დატანილი ავტოსადგომის სავალი ნაწილის ფართობი. საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირდეს როგორც შენობა-ნაგებობაში მდებარე ავტოსადგომის ჯამური ფართობი, ასევე ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად ღია ავტოსადგომების ჯამური ფართობი. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ ავტოსადგომის ფართობის გასწორება გამოიწვევს შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის გასწორებასაც.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა ავტოსადგომისა და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. აგრეთვე, სამსახურის 2023 წლის 06 მარტის №6352650 ბრძანებით შეთანხმებული ღია ავტოსადგომების ჯამური ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2023 წლის 06 მარტის №6352650 ბრძანებით შეთანხმებული -3.35 და 0.00 ნიშნულების გეგმების იდენტური გეგმები ავტოსადგომების შესწორებული ფართობების მითითებით.
ვინაიდან, სამსახურის 2024 წლის 01 ივლისის №7108403 გადაწყვეტილებას გაეცანით 2024 წლის 01 ივლისს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2024 წლის 03 ივლისს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 23 (ოცდასამი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 23 (ოცდასამი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2024 წლის 19 ივნისის №AR11043080 განცხადება დარჩება განუხილველი.

---